პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2024 წლის _____ აგვისტო; ქ. ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 თებერვლის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 თებერვლის N5 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 28/02/2024, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.132.016620) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული განაშენიანების დეტალური გეგმა ჩამოყალიბდეს ამ დადგენილებაზე თანდართული რედაქციით.

2. დადგენილებას მე-2 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 მუხლი:

„მუხლი 2^1

განემარტოს განაშენიანების დეტალური გეგმის დამუშავების ინიციატორს, რომ იგი ვალდებულია არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე წარმოადგინოს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას'' თანხმობა დაგეგმილ მშენებლობასთან დაკავშირებით.“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **რამაზ ჯინჭარაძე**

განმარტებითი ბარათი
პროექტის სახელწოდება და სათაური
„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 თებერვლის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ
ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:
ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 თებერვლის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' დადგენილების მიღება.

განმცხადებელია მ. შ. - ქ. ბათუმში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩაზე N3 და N5-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე დამტკიცებულია განაშენიანების დეტალური გეგმა - წარმოდგენილი ცვლილებებით ხდება საპროექტო შენობის კონფიგურაციის ცვლილება, განთავსების სქემის შეცვლა, რამაც გამოიწვია საპროექტო გენ გეგმის ცვლილება.

ცვლილებები არ ეხება დამტკიცებულ ქალაქთმშენებლობით პარამეტრებს; განაშენიანების ; განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიცენტს, აღნიშნული პარამეტრები რჩება უცვლელი.

საპროექტო ობიექტის განთავსების სქემის ცვლილებამ გამოიწვია სატრანსპორტო სქემის ცვლილება, რომელიც დამუშავებულია და შეცვლილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ვინაიდან საპროექტო ობიექტზე გადის ელექტრო გადამცემი ხაზი, ინიციატორი დავალდებულდა პროექტის ეტაპზე წარმოადგინოს სს ,,ენერგო-პრო ჯორჯიას'' თანხმობა.

ბ) პროექტის ფინასური დასაბუთება:

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინასების წყარო: არ გამოწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე - არ გამოიწვევს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში): პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციების არ მიღებულა

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ქალაქგანვითარებისა და ურბანული
პოლიტიკის სამსახურის უფროსი
გ.წანაწყენიშვილი